

დ ღ მ ი შ

სოლის ათების დამატება

გაზეთის № 79.

კვირა, 12 აპრილი 1909 წ. დამატების № 15.

ს ა ი დ უ გ ლ მ.

I


— შვილო სოფრომა! იქნება ქე დამაყონდეს, თუ ძნელი ავათუოფი იქნა დედა. შვილობას, პეტერე ადრელე დაადექი სათოხარს. ვენახის ბოლო უნდა გამოთავდეს ხვალე. მერე, შვილო, ნოლებს უნდა მიხედვა, თვარა ბალახი მეერია და სულ ჩაყვითლა ყანა! — უთხრა ბარბარემ სახლის აიგანში ხის ტახტზე მწოლარე შვილს. მერე შავი შალი წამოიხურა, ხელში რაღაც ბოლჩა დაიჭირა და დაადგა თავზე: — ხო გეიგონე, დია, რაც გითხარი?

ქათმის წიწილები ცვარში არ გუუშვა, თვარა დეიხოცებიენ

— მე ყორფელს კი ვიზამ, მარა შენ ნუ ჩააღამეფ შენებურათ, რო მოარჩინო მერე ქე წამოი სახში. — უთხრა მანამ.

— ჰო, დედა ჩემო, ზეგიზა ნადი მეყოლება და შინ უნდა იქნე. — დაუმატა ეხლა უკვე გამოფხიზლებულმა სოფრომმა. მერე წამოჯდა, ახალუხი წამოიხურა, ერთი ღონივრად გაიზმორა, უგემურად გადააფურთხა, გვერდზე გადასწვდა, სამკაბეკიანი თამბაქო ილო, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა.

— გამეეტიყ, ადამიანი! ჩენ მისვლამდი თუ ქე მოკვტება, მერე შენ რაღა საჭირო ხარ! — დაუძახა მოხუცს სახლის წინ თუთის ხეზე მიყრდნობილმა კაცმა, რომელსაც იგი მელოგინე ქალთან უნდა წაეყვანა.



კაპო ზაჩალი

(ილია ჭავჭავაძის პოემიდან), — სურათი მრევლი შვილისა.

— გევიგონე, დედა, გევიგონე, — უთხრა ნახევრად მძინარე შვილმა.

— ძლაბო, მანაია! — მიუბრუნდა ახალ გაზრდა თხუთმეტის წლის გოგოს, რომელსაც ანთებული ჭრაქი ეჭირა ხელში და თავის ფხანით გზას უნათებდა დედას. — ი კვანტის წიწილები არ დამიხოცო, შვილო, შიმშილით. პეტერე მაღლა რო წამეიწიოს ბზე, იქნე ლაფარეში ბზის ყურზე მოთოთოვებული ჭინჭარი ბზათ იქონიე და აჭამე.

— ა, მოვალ, მოვალ, შვილო! — მიაძახა ბარბარემ, ფაცა ფუცით ჩავიდა ორ საფეხურიან კიბეზედ, პირ-ჯვარი გამოისახა, თავისი განუშორებელი მსხვილი ჯოხი ხელში მოიმარჯვა და ვაჟკაცურისა და გაბედულის ნაბიჯით გასწია.

თეთრ ახალოხა კაცი ჩქარის ნაბიჯით გაპუვა უკან ბებია ქალს.

ზაფხულის ცხელი ღამე ცოტათ გააგრილა დასავლეთიდან მობერილმა ქარმა. ცა მოიღრუბლა. მთვარე განრისხე-

ბული მიაჩერდა ცის ძირში უზარ-მაზარ, გველვეშაპივით შავად გაწილილ ღრუბელს. ეწყინათ ვარსკვლავებსაც — მოულოდნელმა და უსიამოვნო სტუმარმა მხიარული მეჯლისი ჩაუშალათ. წყევა-კრულვა შეუთვალეს არა მკითხე, მეტიჩარა ქარს, რომელსაც შეაპუნა წვიმა უნდა მოჰყოლოდა. ლამის გუშაგნი დალონდნენ. ახალ-გაზრდა და შორს მყოფმა ვარსკვლავებმა ჩაჯრეს ღამის სანათურები და მხოლოდ მთვარე და დიდი ვარსკვლავებილა ბეჭუტავდნენ ღდნავ.

— პეტერე მოუმატოთ ნაბიჯს, თვარა წუმა დაგვასოლებს! — ვამოელაპარაკა ბარბარე თავის თანამგზავრს.

— გრრრ!.. — მოისმა შორს გუგუნი. პაერში რალმაც წითლად გააშუქა, გრძლად დაიკლაწა, ფერადი სხივი ვამოა-

ყინვაში მამა-კაცივით უნაგირზე გადამჯდარს და ნაბად ჭამის სხმულს მგზარობა სოფლიდან სოფლად. ბევრი მომაკვდავი მშობიარე დაუხსნია თავის გამოცდილის ბებიობით. შორს იყო იმისი სახელი განვარდნილი. ყოველ კუთხიდან მოდიოდნენ. განუწყვეტლივ იყო მის ჭისკარზე მიბმული შეკაზმული ცხენი. ყოჩალი იყო ბარბარე, ამდენ სიარულთან ოჯახსაც რორ თადარიგს უწევდა. მეტ სახელად „ქვეყნის მალამოს“ ეძახდნენ. ყოველ ოჯახში სიცოცხლე და სიხარული შეჰქონდა, თავის მხრარულ ხასიათითა და ენით. „მკვდარსაც-კი გააცინებსო“, ამბობდნენ.



თაყვან-საცხოვი ქრისტი, — სურათი დარიკოსი.

კროო და მსწრაფლად გაპერა სივრცეში

— საღართა! — ჩაილაპარაკა ბარბარეს თანამგზავრმა.

— ღმერთო შენს მადლს! საღართო კია, მარა ახლა პეტერე თვარ წამოწუმა, ისე არ გარეიარს.... ა, შეეფი დემეცა აგერ... მე უბედურმა ქორგა არ წამევალე....

— შენ თუ-კი იარ, მე ცხენიც ვერ მომეწვა, — უთხრა ვაჟმა და ორივემ, როგორც შეეძლოთ, მოუმატეს სიარულს.

სამოცდა ათ წელს მიღწეული ბარბარე ჯერ კიდევ მამაცად გამოიყურებოდა. ოცდა ათის წლისა იყო, როცა ეს ხელობა დაიწყო. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ღამე გაუტარებია მოგზაურობაში! ხშირად შევხვედრია ქარ-ბუქში,

II

ამაღამაც ერთ ოჯახში გულის ძერით ელოდნენ. დიდსა და პატარას ხსნის იმედი იმისაგანა ჰქონდა. თავად მიხელის ასული, მშვენიერი ელენე, უკანასკნელ დღეში იყო. იმ სოფლის ორ ბებია-ქალს უიმედოდ ჩამოეშო ხელები, თავები დაექინდრათ და დასხერებოდნენ ტკივილებისაგან გამწარებულ ელენეს. იმისი მშვენიერი, ნაზი სახე ეხლა მწარედ დალრეჯილიყო. საზარელი წივილი შემაძრებულ შიშის ერუანტელსა ჰგვრიდა მაყურებელს. კნენა ნატალია, ელენეს დედა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და დიდკაცურის შეხედულების მანდილოსანი, გამწარებული დარბოდა, ერთს აღილზე ვერ ისვენებდა, ყოველ წუთს გარბოდა სახლის აი-

ვაზე და გაჰყურებდა გზას. მთელი ოჯახი აწიოკებული იყო. მოსმისახურები ერთმანეთს ეჯახებოდნენ. საშარეულოში დიდი ცეცხლი გაეჩაღებინათ, საარაყ დიდი ქვაბი შეედგათ და წყალს აცხელებდნენ. ელენეს ოთახის გვერდით, დიდ-გახალებულ სასტუმრო დარბაზში რბილ სავარძელში გვერდზე მიწოლილიყო თავადი მიხეილი. პირში გრძელ-ტარიანი ჩიბუხი დაეჭირა, ხან გამოშვებით აბოლებდა და თვალ გაშტერებით ჭრს მისჩერებოდა. ელენეს ყოველ დაკივლებაზე წარბს იქმუხვნიდა, შუბლის იკრავდა და გაჯავრებული თავს იქნევდა.

ელენე ერთად-ერთი შვილი იყო დავითისა. მთელი მომავალი იმედი იმაზე ჰქონდა დამყარებული. გულში სწუხდა დავითი, ჩემი გვარი უნდა მოისპოს და ვიღაც სხვა გვარი გაბატონდეს ჩემ ადგილ-მამულზედაო. მაგრამ, მიუხედავად ამ გრძნობისა, მამულებს იძენდა, თორემ-კი არა ჰქარგავდა.

თვრამეტის წლის ელენესა და მშობლებს შორის უსიამოენობა ჩამოვარდა. ელენემ ბევრ ცნობილ ოჯახის-შვილში (მრავალი იყო მისი მთხოვნელი) ყველაზე მეტი ყურადღება მიაქცია საზაფხულოდ მოსულ მიწის-მზომელს, გვარით ნაკლებს და არც დიდის სწავლის პატრონს, იგანე ბერიშვილს.

წინა წლის მაისის დამდეგს ჩამოვიდა სოფელში მთავრობის მიერ გამოგზავნილი ორი მიწის-მზომელი. ამათ მამულები უნდა დაეზომათ, მიჯნები ჩაეყარათ, გეგმები აეღოთ და დაემტკიცებინათ პატრონებისათვის.

თავად მიხეილს დიდი ხანია თვალი ეჭირა ორ ჰალაზე, რომელიც ოცი წინად შეესყიდნათ გლეხებს. გლეხებს არავითარი წერილობითი საბუთი არა ჰქონდათ. როგორ წარმოიდგენდნენ, თუ ბატონი ოცი წლის შემდეგ მოსდებდათ ხრის, ან რას იფიქრებდნენ, თუ ვიღაც მოხელენი მათვის გაუგებარ ხაზებით გადაიღებდნენ მათი მიწების სახს! დრო გადადიოდა და ბერიკა შვილებითურთ და ძმები საბა და ნიკოლოზი არხეინიდ განაგრძობდნენ მიწის ფლობას.

თავად დავითს-კი ულიტინებდა სასიამოვნო წარმოდგენა — ან მამულის ჩამორთმევა ან და ხელ მეორედ შესყიდვა გლეხების მიერ. როცა მიწის. — მზომლები ჩამოვიდნენ, დავითი ცას მოეწია სიხარულით. ყველას დაასწრო, გამართა დიდებული სადილი და მიიწვია სოფლის ახალი სტუმრები. ივინეს ამხანაგი რუსი იყო. სადილმა შეიარულად ჩაიძრა, დავითმა სხვა სახლი კაცი-ნაცნობებიც მიიწვია. კნეინა ნატალია თავის გაფრიალებულ სარტყელ-გულის პირით დარბაისლურად დატრიალდა. გამოსძენა დიდი ხნის მივიწყებული რუსული, გამოამზეურა და გულ უხვად დაუხვდა სტუმრებს. მიზიდველის სახის პატრონი იგანე თვალში მოუვიდა, საჩქაროდ გვარი ჰკიოხა ქმარს, მაგრამ როცა გაივთ, რომ ბერისშვილი და გლეხი იყო, ვერაფრად ესიამოვნა.

— გლეხ-კაცს უნდა ვუმსახურო დღესაო, — გაიფიქრა, მერე საქმე მოაგონდა და ხელი ჩაიქნია, — ჯანდაბას მისი თავი, საქმე-კი გაგვირიგოს და!

— აპა რა გგონია, ჩემი ელენეს საქმროთ კიარ მინდა? — სოქვა სიცილით ქმარმა და სტუმრებთან გავიდა.

დავითის მაგალითს სხვებმაც მიპააძეს. გაიმართა სადილები, მიპატიუება. ამ ამბავმა ორ კვირაზე მეტ ხანს გასტანა. დასასრულ გათავდა იმით, რომ დავითმა კვლავ მიიწვია ივანე ამხანაგითურთ და ბინად დაუთმო დიდი, ნათელი ოთახი. გოგო, ბიჭი და მუქთა სადილ-ვახშამი მათ ჰირის-სანაცვლოდ გახადა. არ გაულია დიდ ხანს, რომ ბერიგას შვილებს და შვილის-შვილებს ასი კავალი თუმანი დაათვლევინა დავითმა. შეიძლება დღეს-დღეობით ამ ფასად არც-კი ღირდა ის ჰალები, მაგრამ გლეხების ერთად-ერთი მომავალი იმედი ის იყო.

III

შუალამე გადასულიყო. დავითის ოჯახი ტკბილ ძილს მისცემოდა. ქანდარაზე ჩამომსხდარ ქათმებსაც-კი მაგრა ჩაეთვლიმათ. არ ეძინა მხოლოდ სიცოცხლით სავსე და რაღაც ნაირად გულ-აძგერებულს ელენეს. მას გაელო თავის თახის ფანჯარა, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. ფანჯარისთან ჩამწკრივებულიყო დაბალი ბუჩქები. ბორდოს ფერ ჟოკორს მარგალიტის ნამი დასხურებოდა და ძლიერ შესამჩნევად გადაშლილიყო, თითქოს ნაზის ღიმილით სოხოვდა სატრფოს, მოდი იქ, დამეკონე და დასტკბი ბეღნიერებითაო. მაგრამ ბულბულს ჩაძინებოდა, უნდობდა ცოტათი მაინც დაესვენა, ხმა დაეწმინდა, რათა მზად ყოფილიყო იმ დროსთვის, როცა დედამიწა თეორ პირ-ბადეს შემოიხვევდა. მოწმენდილ ცაზე ცელქად დახტოლდნენ მოკაშკაშე ვარსკვლავები. პირ-ბადრი მოვარე მისდგომოდა ელენეს ფანჯარას და უხვად იფრქვევდა თავის ნაზ სხივებს ფანჯარაში გადაშოლილ ელენეს.



ილია ჭარალავიშვილი

(გარდაიცვლი 27 თებერვალს. იხ. „დროება“, № 48)

რამ გაუტეხა ძილი ახალგაზრდა ნორჩ ყვავილს და რადი იყო ამ დროს ფანჯარაში გადაშოლილი? გულის ცემით რას უგდებდა ყურს და ვის მიელოდა?

ბევრი ასეთი ღამე გაეტარებინა ელენეს ამ ზაფხულს. კარგა ხანია რაღაც გაინასკვა მისსა და ახალგაზრდა ბერის შვილს შორის.

„დასწეულოს ღმერთმა! ამ გრძნობას არა სცოდნია არც დიდი კაცი და არც პატარა, არც გლეხი და არც თავადიონ“, ხანდისხან გაუელვებდა თავში ელენეს. თანაც ფიქრობდა, როგორ უნდა უთხრა მშობლებს, ცოცხალის თავით არ მიმცემენ ამ კაცსაო. მაგრამ ღირდანს არ შერჩებოდა ხოლმე ეს ფიქრი.

— ჩუ! — დაიჩურჩულა ელენემ, მთლად გადაშვა ფანჯარაში და მიაპყრო თვალი სახლის კუოხეს. იქ პატარა საცალფეხო გზა გადმოდიოდა მესერზე.

სიმაგრეების
შემოხვევები

— ჭ-ჭ-ჭი — ოდნავ გაიხმაურა ფიცრის მესერმა და გადმოევლო ზედ ვიღაცა, ორის გადმოხტომით ფანჯარისთან გაჩნდა და უხმოდ ჩიკრა გულში ქალის ხელები.

— ვანო! გული გამიწყალდა შენს მოლოდინში! სად იყავი? — ჰკიოთხა საყვედურით ელენემ, როცა გული მობრუნა და თავისუფლად ამოისუნთქა.

— ჩემო სიცოცხლევ, თქვენ დიდ ცაცხვთანა ვარ და- ლამების შემდევ. სწორედ დავთვალე: ასჯერ მოვედი ბალის თავთან და გაებრუნდი. ის დასაქცევი ლამპების შუქი თვალებს მვრიდა და ეკლად მხვდებოდა გულში. როცა დავრწმუნდი, რომ მარტო იყო ჩემი ხვთაება, გამოვეშურე და შენთანა ვარ, შენ შემოგვევლე.

გასუმდნენ, ყურს უგლებდნენ ურთ-ერთის გულის ძეგრას.

— ელენე, აღარ შემიძლიან, უნდა უთხრათ მშობლებს, უნდა ბოლო მოეროს ახე შიშითა და კანკალით ერთმანეთის შეხვედრას.

ელენე შეკრთა, თითქოს ძილისაგან გამოარკვიესო.

— არა, არა! ლმერთმა ნუ ჰქონას! დედა არ იზამს — გაასაფესავა ელენემ ხელები. — მამას ეჭვი ჰქონდა ალებული და იმიტომ დაგითხვა სახლიდან. ჩემთვის არაფერი უთქვამს, მარა გული კი გამოეცვალა ჩემზე, ვატყობ....

— აბა როდემდის ელენე, როდემდის უნდა ვიტანჯოთ ასე?

— ცოტა ხანს კიდევ... გული მეუბნება, ჯერ ადრეაო.

— ელენე, ხომ კარგად იცი, ორ თვეზე მეტი გადავა- ცილე. ამხანაგი წავიდი, ყოველივე სამუშაო გათავდა... თი- თქოს ვისმეს მოუჯაჭვივარ ამ აღგილზე, ხან რას ვიმეზეზებ, ხან რას. მეტი გაჩერება აღარ შეიძლება, სამსახურს დავკარ- გვა... .

ელენეს სახე მოელრუბლა და ნელა გაინთავისუფლა ხელი იგანეს ხელისაგან.

— რა ვქნა, წალი, თუ-კი ორ თვეს ამდენი მნიშვნე- ლობა აქვს და მეტად არ გილირვარ, წალი. — უთხრა ნაღვ- ლიანად.

— ელენე, სად წავიდე? ვიღას წაულო ეს დაკოდილი გული? რა გულ-გრილათ მიცილებ! — დაიძახა ივანემ, გიუ- ვით შეახტა ფანჯარის, რკალივით შემოევლო ხელი ქალს წელზე და ასწია, რომ ბალში გადაეტანა.

— არა, არა, იქ არ წამოვალ, დაგვინახავს ვინმე. — ჩასჩურჩულა ელენემ.

— ვინ უნდა დაგვინახოს?

— მებალე ბალში იძინებს... ოთახში შემოდი, ნელა-კი... დავსხდეთ, ერთმანეთს უცქიროთ და ვიჩურჩულოთ... — მოპ- ხეია ხელი ქოჩორა თმაზე, შუბლზე აკოცა და მერე ფანჯრი- დან დაეშვა იატაკზე. ივანეც გადაჰყა.



რუსული ხალაშის განთან.

IV — ელენე? შენ შემოგვევლე, გული მოიბრუნე, შემომ- ხედე... საცაა გათენდება, უნდა წავიდე. — ჩასჩურჩულებდა ივანე და უკოცნიდა სახეს ლოგინზე პირ-აღმა მწოლარე, ფერ დაკარგულ და ცოტათ თმა — გაწეწილ ელენეს.

ქილმა თვალი გააღმა და ერთი მძიმედ ამოიხვევაშა. თვალებში ცრემლები გაუბრუწყინდა.

— ვანო, ვინა ვარ ეხლა მე!... რა ვარ?

— ჩემი, ჩემი ხარ, შენ შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე... უნდა წავიდე, ელენე, რიც-რაუმა მოატანა... ადექი, ფანჯა- რა მოხურე და დაწექი. — ერთხელ კიდევ დაეკონა ქალის სახეს და წამოიჭრა ლოგინიდან.

შორის მამლებმა დაიყიდლეს. ელენეს ფანჯარა ნელა დაიხურა. ლამის სტუმარმა ჩეარის ნაბიჯით გადაირბინა ბალი.

(შემდეგი იქნება.)

8. გარიყულო.



წვრილი პაპები

მაიმუნი პარიზში

ამ უამად აჩვენებენ მაიმუნს, რომელსაც სახელად „კონსულ მეო- რეს“ ეძახიან. შარშან წინ ამ მაიმუნით მთელი პარიზი იყო გატაცებუ- ლი. ამ მაიმუნის პატივსაცემლად ვახშამიც კი გამართეს, რომელსაც პარიზის გამოჩენილი არტისტები, მხატვრები, ლიტერატურები და სხვე- ბი დასწრებიან. მაიმუნი პაპიროსს სწევს, იცინის, უსტევს, ცხვირს იხილავს. სადილის დროს კაცივით ზის და ისე სჭამს პურს, ცეკვას როგორც კაცი და სხვა. ავტომაბილიც-კი თითონ დაჰყავს ამ მაიმუნს.



ზად უფრო ნაყოფიერია მწერლობა

ამ რამდენიმე წნის წინად პარიზში გამოიკვლეის რომელი სახელ- მწიფო უფრო ნაყოფიერია მწერლობით. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი გამომდგარა შვეიცარია, სადაც ერთი მწერალი 448 სულზე მოდის. მეო- რე ადგილი უჭირავს პოლანდიას: ერთი მწერალი 1,660 სულზე, მესა- მე—დანიას: ერთი მწერალი—1618 სულზე; ამათ მოსდევენ: გერმანია— ერთი მწერალი 2,655 სულზე, ბელგია—2700 სულზე, ნორვეგია— 3,146 სულზე, საფრანგეთი—5180 სულზე, ინგლისი—4,642 სულზე, იტალია—5320, შეერთებული შტატები—10,171 სულზე, ავსტრ-ჰუნ- გრეთი—20,454 სულზე.



პურიშევის ოცნება.